საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 3 20 0000561158

03/07/2020

„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 მარტის N358 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამარჯვებული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სფეროში დამტკიცებული პროგრამის პრიორიტეტებით განსაზღვრული კონკურსის/ების საკონკურსო კომისიის/ების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N212 ბრძანების საფუძველზე და ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 მარტის N358 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული საპროექტო/საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 15 მაისის N383593 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2020 წლის 30 ივნისის N2 სხდომის ოქმისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 02 ივლისის N553573 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 10 მარტის N358 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამარჯვებული პროექტების ნუსხა, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2020 წლის 7 ივლისისა;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი